საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №64
2023 წლის 25 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 168-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილების (სსმ III, 08.12.2008, №175, სარეგისტრაციო კოდი 300.280.000.16.009.012.460) პირველი მუხლის პირველ პუნქტში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1 . „გ“-„ე“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„გ) სს „ეპ ჯორჯია გენერაცია“ (ლაჯანურჰესი) – 2.133 თეთრი/კვტსთ;

დ) სს „ეპ ჯორჯია გენერაცია“ (გუმათჰესების კასკადი) – 8.296 თეთრი/კვტსთ;

ე) სს „ეპ ჯორჯია გენერაცია“ (ძევრულჰესი) – 1.374 თეთრი/კვტსთ;“.

2. „ვ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

1. დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.
2. ამ დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „გ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ტარიფის მოქმედების ვადა განისაზღვროს 2024 წლის 1 იანვრიდან 2027 წლის 1 იანვრამდე;

ბ) „დ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ტარიფის მოქმედების ვადა განისაზღვროს 2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 მაისამდე;

გ) „ე“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ტარიფის მოქმედების ვადა განისაზღვროს 2024 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 1 მაისამდე.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე	დავით ნარმანია
კომისიის წევრი	გიორგი ფრუიძე
კომისიის წევრი	გიორგი ფანგანი
კომისიის წევრი	დავით თვალაბეიშვილი
კომისიის წევრი	გივი სანიკიძე